

სს ზაშურის მინის ტარა
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
31 დეკემბერი, 2021

	შენიშვნა	31/12/2021	31/12/2020
ფული და ფულის ექვივალენტები		6,022	3,892
სავაჭრო მოთხოვნები		2,537	2,800
გადახდილი ავანსები		0	190
მარაგები		10,724	0
სხვა მიმდინარე აქტივები		10,969	9,934
სხვა გრძელვადიანი აქტივი		574,866	575,436
საინვესტიციო ქონება	3	938,983	1,147,844
სულ აქტივები		1,544,101	1,740,096
კაპიტალი		3,861,792	3,861,792
გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)		(5,647,492)	(5,079,197)
სულ კაპიტალი		(1,785,700)	(1,217,405)
სავაჭრო ვალდებულებები		401	373
აღებული სესხი		3,329,400	2,815,504
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
გრძელვადიანი ვალდებულებები		-	141,624
სულ ვალდებულებები		3,329,801	2,957,501
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1,544,101	1,740,096

სს ზაშურის მინის ტარა
მოგება - ზარალის ანგარიშგება
31 დეკემბერი, 2021

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი	4	85,169	29,831
თვითღირებულება	5	(65,980)	(44,309)
საერთო მოგება		19,189	(14,478)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი		(308,994)	(299,885)
მარაგების ჩამოწერისა და დარეზერვების ხარჯი		-	(54,832)
ფინანსური აქტივის გაუფასურების ანარიცხის (ზრდა)/შემცირება		-	(58,217)
საინვესტიციო ქონების გაუფასურების ზარალი		-	(1,391,225)
სხვა შემოსავალი/ხარჯები		(34,920)	(26,101)
საოპერაციო ზარალი		(324,725)	(1,844,738)
საპროცენტო ხარჯი		(243,833)	(225,434)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან		263	-
ზარალი მოგების გადასახადამდე		(568,295)	(2,070,172)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მიმდინარე წლის წმინდა ზარალი		(568,295)	(2,070,172)
მიმდინარე წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი / (ხარჯი)		(568,295.0)	(2,070,172.0)

სს ზაშურის მინის ტარა
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
31 დეკემბერი, 2021

	სააქციო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,861,792	(3,009,025)	852,767
წმინდა ზარალი 2020 წლისათვის	-	(2,070,172)	(2,070,172)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,861,792	(5,079,197)	(1,217,405)
წმინდა ზარალი 2021 წლისათვის	-	(568,295)	(568,295)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,861,792	(5,647,492)	(1,785,700)

სს ზაშურის მინის ტარა
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
31 დეკემბერი, 2021

	2021	2020
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(126,714)	(131,672)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	128,844	132,466
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ექვივალენტში	2,130	794
სავალუტო კურსის ეფექტი	-	-
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	3,892	3,098
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	6,022	3,892

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია:

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სს "ხაშურის მინის ტარა"-ს (შემდგომში მოხსენიებული როგორც „კომპანია“) ფინანსურ ინფორმაციას.

კომპანიამ ფუნქციონირება დაიწყო 1966 წელს, როგორც რეგიონის უმსხვილესმა მინის ტარის მწარმოებელმა საწარმომ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 1996 წელს საწარმო გადაკეთდა სააქციო საზოგადოებად და მიენიჭა საიდენტიფიკაციო კოდი 243855734. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი ხაშური, იმერეთის გზატკეცილი #2.

ამჟამად კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს მის საკუთრებაში არსებული აქტივების (მიწა, შენობა-ნაგებობები, სხვადასხვა მოწყობილობები და დანადგარები) შენახვა და მოვლა-პატრონობა მათი შემდგომი, სარფიანი რეალიზაციისთვის.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა:

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ლარი).

შემოსავლის აღიარება:

შემოსავალი აისახება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალს აკლდება საქონლის დაბრუნების, ფასდათმობებისა და სხვა მსგავსი შედავათების სავარაუდო ღირებულება.

საქონლის რეალიზაცია

საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი აღიარდება საქონლის მიწოდებისა და მასზე უფლებების გადაცემის შემდეგ, ყველა ჩამოთვლილი პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში

- კომპანიამ მყიდველს გადასცა საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანია აღარ ინარჩუნებს გაყიდული საქონლის ფლობასთან დაკავშირებული ხარისხის მენეჯერულ მონაწილეობას ან მასზე ეფექტურ კონტროლს;
- შემოსავლის ოდენობის სარწმუნოდ გაზომვა შესაძლებელია;
- სავარაუდოა, რომ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის მიმღები იქნება კომპანია; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი ხარჯების ოდენობის სარწმუნოდ გაზომვა შესაძლებელია.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები:

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და მათ პროცენტი არ ერიცხება.

საინვესტიციო ქონება:

საინვესტიციო ქონება არის მიწა, შენობა ან შენობის ნაწილი, რომელიც გაიცემა იჯარით საიჯარო შემოსავლის მისაღებად ან კაპიტალის გაზრდისათვის, და რომელსაც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია არ იყენებს და არ ფლობს გაყიდვის მიზნით. საინვესტიციო ქონებას განეკუთვნება ისეთი ქონებაც, რომლის მშენებლობა ან განახლება მიმდინარეობს საინვესტიციო ქონებად სამომავლო გამოყენებისთვის.

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საინვესტიციო ქონების შეფასება განხორციელდა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ რომელსაც გააჩნია შესაფერისი პროფესიული კვალიფიკაცია და გამოცდილება. შეფასებული სამართლიანი/რეალური ღირებულება განხილულია, როგორც პირობითი საწყისი ღირებულება. თავდაპირველი აღირების შემდეგ საინვესტიციო ქონება აღირიცხება ცვეთის თანხით და გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. საინვესტიციო ქონების მომსახურების ვადა განსაზღვრულია 10-15 წლით.

სხვა აქტივები:

სხვა აქტივები შედგება ქალაქ ხაშურში ქარხნის ტერიტორიაზე სსრ კავშირის დროს ექსპლოატაციაში შესული მანქანა-დანადგარებისაგან და სხვადასხვა მოწყობილობებისგან, რომელთა მიმდინარე მდგომარეობა გაუმართავია.

სხვა აქტივები 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხული იყო გასაყიდად არსებული გრძელვადიანი აქტივების ჯგუფში, თუმცა მენეჯმენტმა ვერ შეძლო მათი რეალიზაცია და იგი გადაკლასიფიცირდა სხვა აქტივებში შესაბამისი ღირებულებით, რომელიც 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განსაზღვრული იყო დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ.

3. საინვესტიციო ქონება:

	საინვესტიციო ქონება
თვითღირებულება (ერთეული ლარი)	
1 იანვარი, 2021	3,248,600
31 დეკემბერი, 2021	3,212,070
დაგროვილი ცვეთა	
1 იანვარი, 2021	(709,531)
31 დეკემბერი, 2021	(881,862)
გაუფასურება	
1 იანვარი, 2021	(1,391,225)
31 დეკემბერი, 2021	(1,391,225)
საბალანსო ღირებულება	
1 იანვარი, 2021	1,147,844
31 დეკემბერი, 2021	938,983

საინვესტიციო ქონება მოიცავს ქალაქ ხაშურში მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების 14 ჰა მიწას, დაუმთავრებელი ქარხნის შენობას და სხვა დაკავშირებულ შენობა-ნაგებობებს.

4. შემოსავალი

კომპანიის შემოსავალი მოიცავს აქტივების (მეორადი აგური და ჯართი) რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალს, რომელიც 2021 წლისთვის შეადგენს 85,169 ლარს (2020 წლის 31 დეკემბრისთვის: 29,831 ლარი)

5. თვითღირებულება

თვითღირებულება მოიცავს რეალიზებული აქტივების (მეორადი აგური და ჯართი) ღირებულებას, რომელიც 2021 წელს შეადგენს 65,980 ლარს. (2020 წლის 31 დეკემბერი: 44,309 ლარი)

6. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები:

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა განმარტება ფინანსურ ანგარიშგებაში საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

28 სექტემბერი, 2022



დავით ბეჟაშვილი

დირექტორი



ნინო ფურცელაძე

მთავარი ბუღალტერი